ამონაწერი თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმიდან N1(3/02/2023)

2023 წლის 3 თებერვალს შედგა თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: დიმიტრი კორძაია (ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე), ციური სუმბაძე (მდივანი) და საბჭოს წევრები: ლიანა გოგიაშვილი, მიხეილ ჯანგავაძე, ზურაბ ჩხაიძე, ნანა ბაკურაძე, თამარა მაჭავარიანი, ელენე ჯანბერიძე, მანანა კაკაბაძე, მაია მჭედლიშვილი, ნოდარ ხოდელი.

დღის წესრიგი:

1. თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადება;

1. მოისმინეს:

თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, მანანა კაკაბაძის განცხადება იმის თაობაზე, რომ 2023 წლის 14 თებერვალს მას ეწურება დირექტორის თანამდებობის დაკავების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა, ამიტომ უნდა გამოცხადეედ კონკურსი დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე და შეირჩეს ვადები ამ კონკურსისთვის.

აზრი გამოთქვეს:

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრებმა იმსჯელეს კონკურსის გამოცხადების ვადებზე და შეთანხმდნენ. რომ კონკურსი გამოცხადდეს 2023 წლის 6 თებერვალს; განცხადება კონკურსის გამოცხადების თაობაზე განთავსდეს როგორც უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ისე მორფოლოგიის ინსტიტუტის ვებგვერდზე; საბუთების მიღება იწარმოებს 20 თებერვლიდან 24 თებერვლის ჩათვლით 10.00 საათიდან 18.00 საათამდე; დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კონკურსანტების დოკუმენტაციის განხილვა და დირექტორის კანდიდატურის შერჩევა მოხდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, რომელიც გაიმართება 28 თებერვალს; არჩევნების შედეგები თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2023 წლის 1 მარტისა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11; წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

- თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევი კონკურსი გამოცხადდეს 2023 წლის 6 თებერვალს,
- განცხადება საბუთების მიღება იწარმოებს 20 თებერვლიდან 24 თებერვლის ჩათვლით 10.00 საათიდან 18.00 საათამდე;
- დირექტორის კანდიდატურის შერჩევა მოხდება 28 თებერვალს გამართულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე;
- არჩევნების შედეგები თსუ აკადემიურ საბჭოს წარედგინოს არაუგვიანეს 2023 წლის 1 მარტისა.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე დიმიტრი კორძაია



სამეცნიერო საბჭოს მდივანი ციური სუმბაძე